

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N8 - მობილ ბანკი

1. **მობილ ბანკის** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ინფორმაცია, შეასრულოს **გადახდები** და მართოს **ანგარიშები**.
2. იმისათვის რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **მობილ ბანკით** იგი უნდა ფლობდეს Android-ის ან iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონს.
3. **მობილ ბანკის** აპლიკაციის (დასახელებით: BOG mBank - Mobile Banking) ჩამოტვირთვა/განახლება შესაძლებელია Apple-ის ოფიციალური პორტალიდან AppStore, ან Android-ის ოფიციალური პორტალიდან Google Play Store, რისთვისაც **კლიენტს** უნდა გააჩნდეს შესაბამისი პორტალის მომხმარებლის სახელი და პაროლი.
4. თუ **კლიენტი** დარეგისტრირებულია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** და სარგებლობს **მარტივი ავტორიზაციის** მეთოდით, **მობილ ბანკის** გასააქტიურებლად მან **მობილ ბანკის** აპლიკაციის ჩამოტვირთვის შემდეგ, შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს **მომხმარებლის სახელი** და **პაროლი**, ხოლო იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** სარგებლობს **რთული ავტორიზაციის** მეთოდით, **მობილ ბანკის** აქტივაცია საჭიროებს დამატებით **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას, რომელსაც **კლიენტი** მიიღებს **ფინანსურ ნომერზე** ან/და **ბანკში** დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტაზე. თუ **კლიენტი** სარგებლობს **Digipass-ით**, შესაძლებელია **Digipass-ით** დაგენერირებული **ერთჯერადი კოდის** გამოყენებაც.
5. **მობილ ბანკში** ნებისმიერ **კლიენტს** ავტორიზაციის გარეშე საშუალება აქვს:
 - 5.1. დაუკავშირდეს **ტელეფონ ბანკს**;
 - 5.2. მიიღოს ინფორმაცია:
 - 5.2.1. **ბანკომატების**, სერვისცენტრების ან/და **თვითმომსახურების ტერმინალების** შესახებ, მათ შორის მოძებნოს უახლოესი **ბანკომატი**, **სერვისცენტრი** ან/და **თვითმომსახურების ტერმინალი**;
 - 5.2.2. საქართველოს ეროვნული ბანკის ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსების შესახებ;
 - 5.3. განახორციელოს გადახდები საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ლიცენზირებული კომერციული ბანკ(ებ)ის მიერ ემიტირებული ბარათ(ებ)ის გამოყენებით;
 - 5.4. შექმნას გადახდების/**გადარიცხვების** შაბლონები (მათ შორის თემატური შაბლონები, მაგ. „ჩემი სახლი“, „ჩემი მანქანა“ და სხვ.);
 - 5.5. დაიმასხვროს/შეინახოს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი**;
 - 5.6. გააზიაროს გადახდის ქვითარი;
 - 5.7. დარეგისტრირდეს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**;
 - 5.8. გაგზავნოს მეილი **ბანკში**.
 - 5.9. გაიაროს **ონლაინ იდენტიფიკაცია**.
6. წინამდებარე **დანართის მე-5 პუნქტში** მოცემულის გარდა, **მობილ ბანკში** მხოლოდ **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** დარეგისტრირებულ **კლიენტს** საშუალება აქვს:
 - 6.1. აღადგინოს/შეცვალოს **მომხმარებლის სახელი** ან/და **პაროლი**, შეცვალოს **ავტორიზაციის** მეთოდი. როგორც **მარტივი**, ისე **რთული ავტორიზაციის** მეთოდის მქონე **კლიენტების** მიერ დამატებით შესაძლებელია ამ დანართის მე-13 პუნქტით განსაზღვრული **ოპერაცი(ებ)ის** დადასტურების მეთოდის ცვლილება (საჭიროებს **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას), თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს;
 - 6.2. თავიდან გაააქტიუროს დეაქტივირებული **მობილ ბანკი**;

- 6.3. აირჩიოს **მარტივი ან რთული ავტორიზაციის** მეთოდი. ამასთან, ერთ-ერთი მეთოდის არჩევისას **კლიენტი** უფლებამოსილია დამატებით ისარგებლოს:
 - 6.3.1. პას კოდის ან/და თითის ანაბეჭდის ავტორიზაციით;
 - 6.3.2. სახის ამოცნობის (face ID) (მხოლოდ iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონების შემთხვევებში თუ შესაბამისი სმარტფონი აღჭურვილია სახის ამომცნობის ფუნქციით) ავტორიზაციით.
- 6.4. მიიღოს ინფორმაცია:
 - 6.4.1. **ანგარიშებზე, კრედიტებზე, საკრედიტო ბარათებსა და ანაბრებზე (დეპოზიტებზე);**
 - 6.4.2. დაგროვების პროგრამების შესახებ (PLUS ქულები, MR ქულები, sCool-ები, **ელექტრონული ყულაბა**);
 - 6.4.3. უახლოესი გადასახდელების შესახებ (კრედიტი, საკრედიტო ბარათი, **საკომისიო**, კომუნალური გადახდები);
- 6.5. გადაიხადოს კომუნალური და სხვა სახის გადასახადები;
- 6.6. შეასრულოს გადარიცხვის **ოპერაციები**;
- 6.7. გამოიყენოს **ინტერნეტ ბანკში** შექმნილი შაბლონები;
- 6.8. შეასრულოს **კონვერტაცია მობილ ბანკის** კურსით;
- 6.9. გააფავორიტოს **ანგარიში** ან/და **ბარათი** ან/და არ გამოაჩინოს **ანგარიშები**;
- 6.10. დაბლოკოს/განბლოკოს **ბარათები**;
- 6.11. გაააქტიუროს/გამორთოს **ბარათის დაცვის მომსახურება** ან/და **ბარათის 3D უსაფრთხოება**;
- 6.12. ჩამოტვირთოს/გააზიაროს **ანგარიშის რეკვიზიტები**;
- 6.13. ჩამოტვირთოს/გააზიაროს გადახდის ქვითარი ან/და **საგადახდო დავალება**;
- 6.14. მოძებნოს სასურველი მოდული ან/და ინფორმაცია მის მიერ შესრულებულ **ოპერაციებთან** დაკავშირებით;
- 6.15. გაააქტიუროს/გამორთოს **ელექტრონული ყულაბა**;
- 6.16. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **ავტომატური გადახდების** ან/და **მუდმივი საგადახდო დავალება**;
- 6.17. ჩაერთოს ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში (მხოლოდ SOLO კლიენტებისათვის);
- 6.18. PLUS ქულები გადაცვალოს მომსახურებაში/შეიძინოს საჩუქარი;
- 6.19. მოიწვიოს **მესამე პირი** ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში;
- 6.20. შეიძინოს MR ქულებით ვაუჩერი;
- 6.21. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **მობილ ბანკის** აპლიკაციის შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია; ამ პუნქტის მიზნებისთვის, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გამორთოს **კლიენტის** მიერ გააქტიურებული შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ ისარგებლებს **მობილ ბანკის** აპლიკაციით;
- 6.22. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **SMS ბანკი**;
- 6.23. შეცვალოს/დაამატოს **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მისამართი, ტელეფონის ნომერი, **ფინანსური ნომერი** და ელექტრონული ფოსტა;
- 6.24. გახსნას/დაარღვიოს ანაბარი (დეპოზიტი);
- 6.25. შეუკვეთოს სადებეტო **ბარათი**, მათ შორის **ციფრული ბარათი**;
- 6.26. გამოაჩინოს **ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები**;
- 6.27. შეასრულოს **QR გადახდები** ამ დანართის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- 6.28. გაიაქტიუროს **ბანკის** მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) **კრედიტ(ებ)ი** (მათ შორის საკრედიტო **ბარათ(ებ)ი**, **ოვერდრაფტი**) ან/და ანაბრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი **კრედიტი**, ასევე, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები **კრედიტ(ებ)ის** ხელშეკრულებაში(ებში), **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
- 6.29. მოახდინოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის ანაბარზე (დეპოზიტზე) თანხის დამატება;
- 6.30. დაფაროს **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის **კრედიტი** სრულად ან ნაწილობრივ;
- 6.31. მიანიჭოს **სანდო მოწყობილობის** სტატუსი მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ მობილურ მოწყობილობას;
- 6.32. დაამატოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ი** Wallet-ის აპლიკაციაში(ებში);
- 6.33. მიიღოს **ფულადი გზავნილი**;
- 6.34. ჩატის მეშვეობით, მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს მისი დაფიქსირება **ბანკის** სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად.
7. **კლიენტს**, რომელიც წარმატებით გაივლის **ონლაინ იდენტიფიკაციას** ან ფლობს **ბანკის ბარათ(ებ)ს**, შესაძლებლობა აქვს **მობილ ბანკით** დარეგისტრირდეს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**. **ონლაინ იდენტიფიკაციის** წარმატებით დასრულების შემთხვევაში, **კლიენტი** უთითებს სასურველ **მომხმარებლის სახელსა** და **პაროლს**; ხოლო, **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე** რეგისტრაციისას, **კლიენტი** უთითებს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ს** რის შემდეგაც უნდა მიუთითოს **ერთჯერადი კოდი**, რომელსაც მიიღებს **ფინანსურ ნომერზე**. **ერთჯერადი კოდის** წარმატებით მითითების შემდეგ, **კლიენტი** უთითებს სასურველ **მომხმარებლის სახელსა** და **პაროლს** ორჯერ.
8. **მობილ ბანკით** **პაროლის** აღსადგენად **კლიენტმა** უნდა გაიაროს **ონლაინ იდენტიფიკაცია** და მიუთითოს **ერთჯერადი კოდი**, ან შესაბამის ფორმაში მიუთითოს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი** და **ერთჯერადი კოდი**. **კლიენტი ერთჯერად კოდს** მიიღებს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** დაფიქსირებულ **ფინანსურ ნომერზე** ან/და ელექტრონულ **ფოსტაზე**. **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** საფუძველზე **პაროლის** აღდგენის შემთხვევაში, თუ **კლიენტი** სარგებლობს Digipass-ით, შესაძლებელია Digipass-ით დაგენერირებული **ერთჯერადი კოდის** გამოყენებაც.
9. პას კოდით **ავტორიზაციის** გასააქტიურებლად, **კლიენტმა** შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს **მომხმარებლის სახელი** და **პაროლი**, შემდეგ აირჩიოს **პას კოდით ავტორიზაცია**, შეარჩიოს სასურველი ციფრების კომბინაცია და დაადასტუროს. ამ პუნქტის მიზნებისთვის, პას კოდით **ავტორიზაცია** შესაძლებელია მხოლოდ **კლიენტის** სარგებლობაში არსებულ ერთ კონკრეტულ სმარტფონზე.
10. **კლიენტს**, რომელიც ფლობს მობილურ ტელეფონს და რომელსაც გააჩნია თითის ანაბეჭდის სკანერი, **მობილ ბანკში ავტორიზაციისათვის** შეუძლია **პას კოდით ავტორიზაციასთან** ერთად გამოიყენოს თითის ანაბეჭდით **ავტორიზაციის** მეთოდიც რა დროსაც აღარ მოითხოვება **მომხმარებლის სახელის**, **პაროლის** და **ერთჯერადი კოდის** მითითება.
11. **მობილ ბანკში ავტორიზაციისას მომხმარებლის სახელის** ან/და **პაროლის** ან/და **პას კოდის** სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში **მობილ ბანკი** დაიბლოკება 30 წუთით.

12. თუ კლიენტს არჩეული აქვს **რთული ავტორიზაცია**, ავტორიზაციის წარმატებით დასრულებისთვის კლიენტმა ავტორიზაცია უნდა დაადასტუროს **ერთჯერადი კოდით**, რომელსაც იგი მიიღებს SMS-ით, ელექტრონული ფოსტით ან **Digipass**-ით.
13. **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას საჭიროებს შემდეგი **ოპერაციები**:
 - 13.1. გადარიცხვა **მესამე პირთან** ან/და ბიუჯეტში. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, **ბანკის** მიერ **გადარიცხვის ოპერაციის ერთჯერადი კოდით** დადასტურება შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი, იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვა სრულდება განმეორებით (პირველი გადარიცხვის შესრულებიდან 5 წლის განმავლობაში) ერთი და იმავე რეკვიზიტზე (**მიმღების** პირადი ან/და ანგარიშის ნომრის გამოყენებით);
 - 13.2. სადებეტო **ბარათის**, მათ შორის **ციფრული ბარათის** შეკვეთა ან/და **ბარათის** დაბლოკვა/განბლოკვა. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, **ბარათის** შეკვეთა არ საჭიროებს **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას იმ შემთხვევაში თუ კლიენტი სარგებლობს **რთული ავტორიზაციის მეთოდით** (მათ შორის თუ **რთული ავტორიზაციის** მეთოდის მქონე კლიენტი დამატებით სარგებლობს თითის ანაბეჭდით ან/და პასკოდით ან/და სახის ამომცნობით (face ID) ავტორიზაციით);
 - 13.3. **ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** გამოჩენა;
 - 13.4. **მომხმარებლის სახელის** ან/და **პაროლის** შეცვლა/აღდგენა;
 - 13.5. **ავტორიზაციის** მეთოდის ცვლილება;
 - 13.6. ანაბრის (დეპოზიტის) გახსნა/დარღვევა **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
 - 13.7. **ავტომატური გადახდების** ან/და **მუდმივი საგადახდო დავალების** გააქტიურება/რედაქტირება/გამორთვა;
 - 13.8. **ელექტრონული ყულაბის**, **ბარათის დაცვის მომსახურების** ან/და **ბარათის 3D უსაფრთხოების** გააქტიურება/გამორთვა;
 - 13.9. PUSH ნოტიფიკაციების გააქტიურება/რედაქტირება/გამორთვა;
 - 13.10. **SMS ბანკის** გააქტიურება/რედაქტირება/გამორთვა;
 - 13.11. **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაციის, მათ შორის მისამართის, ტელეფონის ნომრის, **ფინანსური ნომრის** და ელექტრონული ფოსტის ცვლილება/დამატება;
 - 13.12. **ბანკის** მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) **კრედიტ(ებ)ის** (მათ შორის საკრედიტო **ბარათ(ებ)ის**, **ოვერდრაფტი**) გააქტიურება, ასევე, ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა **კრედიტ(ებ)ის** ხელშეკრულებაში(ებში). ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, **კრედიტის** აქტივაცია, მის ხელშეკრულებაში(ებში) ცვლილება ან/და დამატება არ საჭიროებს **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას იმ შემთხვევაში თუ კლიენტი სარგებლობს **რთული ავტორიზაციის მეთოდით** (მათ შორის თუ **რთული ავტორიზაციის** მეთოდის მქონე კლიენტი დამატებით სარგებლობს თითის ანაბეჭდით ან/და პასკოდით ან/და სახის ამომცნობით (face ID) ავტორიზაციით);
 - 13.13. **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის **კრედიტის** სრულად/ნაწილობრივ დაფარვა;
 - 13.14. ანაბრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი **კრედიტის** გააქტიურება **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
 - 13.15. **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ის** Wallet-ის აპლიკაციაში(ებში) დამატება;
 - 13.16. **ფულადი გზავნილის** მიღება;
 - 13.17. ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში ჩართვა.
14. იმ შემთხვევაში თუ **ავტორიზაციის** შემდეგ **მობილ ბანკში** უმოქმედოდ იქნება 5 წუთის განმავლობაში, **მობილ ბანკი** ავტომატურად დაიხურება და მისი ხელახალი გამოყენებისათვის (გარდა **ბარათით** გადახდისა) კლიენტმა უნდა გაიაროს **ავტორიზაცია** ხელახლა.

15. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს **ავტორიზაციის** ან/და **ოპერაციის** შესრულების/დადასტურების მეთოდი.
16. **QR გადახდა** წარმოადგენს **ბანკის** მიერ შემუშავებულ გადახდის ერთ-ერთ მეთოდს, კერძოდ:
 - 16.1. **QR გადახდის** შესასრულებლად **კლიენტი** უნდა სარგებლობდეს **მობილ ბანკით** (ფოტო/ვიდეო კამერით აღჭურვილი მობილური ტელეფონით) და ფლობდეს აქტიურ **ანგარიშს**, რომელთანაც დაკავშირებულია აქტიური სადებეტო ან/და საკრედიტო **ბარათი** (**ბარათი** არ უნდა იყოს დაბლოკილი, ვადაგასული ან/და სხვა რაიმე ფორმით შეზღუდული გამოყენებისთვის).
 - 16.2. **QR გადახდის** შესასრულებლად **კლიენტმა** უნდა გაიაროს ავტორიზაცია **მობილ ბანკში**, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად. **QR გადახდის** შესრულებამდე საჭიროა მოხდეს **QR კოდის** წაკითხვა/სკანირება მობილური ტელეფონის ფოტო/ვიდეო კამერის მიახლოების გზით.
 - 16.3. **QR გადახდის** შესრულების მიზნით **კლიენტი**:
 - 16.3.1. ირჩევს **საბარათე ანგარიშს**, საიდანაც სურს გადახდის შესრულება.
 - 16.3.2. **მობილ ბანკში** შეჰყავს გადასარიცხი თანხის ოდენობა და ადასტურებს **ოპერაციას** შესაბამისი ლილაკით.
 - 16.4. იმისათვის, რომ შესრულდეს **QR გადახდა კლიენტის ანგარიშზე** უნდა იყოს **ოპერაციისათვის** საკმარისი თანხა და **ანგარიშზე** არ უნდა ვრცელდებოდეს რაიმე სახის შეზღუდვები (მათ შორის საჯარო სამართლებრივი).
 - 16.5. **კლიენტის** მიერ **ოპერაციის** დადასტურების შემდეგ შესაბამისი თანხა გადაირიცხება მიმღების ანგარიშზე.
 - 16.6. **კლიენტი** უფლებამოსილია **QR გადახდა** განხორციელოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. იმ შემთხვევაში თუ **ანგარიშზე** რიცხვული თანხა უცხოურ ვალუტაშია **QR გადახდის** ინიცირების შემთხვევაში, განხორციელდება თანხის კონვერტაცია გადახდის დღეს **ბანკში** დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.
 - 16.7. **კლიენტი** უფლებამოსილია **მიმღების** თანხმობის შემთხვევაში, **მობილ ბანკიდან** მოახდინოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ინიცირება. ამისათვის **კლიენტმა** უნდა უზრუნველყოს შესაბამის ველში თანხის უკან დაბრუნებისთვის აუცილებელი **ერთჯერადი კოდის** შეყვანა, რომელიც **ბანკის** მიერ გაეგზავნება **მიმღებს**.
 - 16.8. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება **კლიენტის** მიერ შესაძლებელია **ოპერაციის** განხორციელებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
 - 16.9. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ თანხის დაბრუნების ინიცირების მომენტისთვის **მიმღების**, **ბანკში** არსებული ანგარიში აქტიურია და **მიმღების** ანგარიშზე არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის შეზღუდვა (მათ შორის სამართლებრივი).
 - 16.10. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება თანხის უკან დაბრუნების შესახებ მოთხოვნის ინიცირებიდან 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში.